ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 17 ნოემბერი **№ 1644**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, **№ 27.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

კვირას, 18 ნოემ ქართული თეატრი ბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✡ დაკლებულის ფასებით ✡

I

მტარვალი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ი. ლაზრიაშვილისა.

II

ქარიშხალი

მონოლოგი-ხუმრობა 1 მოქ. ფრანგულიდან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანიშვილი ᲓᲐ სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია**

მზადდება: **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** ახალი კომედია „სანატრელი მეუღლე“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, **№ 21.** (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მთავრობის განცხადება

სავალდებულო დადგენილება ქალაქ ტფილისისათვის

სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის დებულების მე-15 მუხლის თანახმად, კავკასიის მთავარ-მართებელმა 15 ნოემბერს გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება ქალაქ ტფილისისათვის:

მუხლი 1-ლი. სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად ტფილისის სახლის პატრონებს ან მათ მოურავთ ვალად ედება:

პუნქტი პირველი. სასტუმროების პატრონებმა უნდა აცნობონ 12 საათის განმავლობაში პოლიციის ადგილობრივ უბნის მმართველობას ყველა იმ პირთა შესახებ, რომელნიც გაჩერდებიან სასტუმროში ან წავლენ სასტუმროდან.

პუნქტი მეორე. სახლის პატრონებმა ან მათ მოურავეებმა, სახაზინო და საზოგადო დაწესებულებათა სახლებში კი საპასპორტო ნაწილის გამგეებმა, 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობონ პოლიციის ადგილობრივ უბნის მმართველობას ყველა იმ პირთა შესახებ, რომელნიც დადგებიან ან წავლენ მათ სახლებიდან.

შენიშვნა. მომსვლელთა და წამსვლელთა შესახებ ცნობები უნდა იწერებოდეს ბლანკებზე, რომელთა ფორმას შეიმუშავებს ტფილისის გუბერნატორი.

პუნქტი მესამე. ყველა იმ პირთ, რომელთაც მე-2 პუნქტში მოხსენებულ სახლებში ბინა აქვთ დაქირავებული, უნდა განუცხადონ 18 საათის განმავლობაში სახლის პატრონთ ან მათ მოურავთ, ვინ დადგა მათ ბინაზე ან ვინ წავიდა.

პუნქტი მეოთხე. სახლის პატრონები ან მათი მოურავები, სასტუმროების პატრონები და სახაზინო სახლების საპასპორტო ნაწილის გამგენი ვალდებულნი არიან სისწორით შეადგინონ ხოლმე მათ სახლებში მდგმურების ჩასაწერი წიგნები.

შენიშვნა. ამ წიგნების ფორმას შეადგენს ტფილისის გუბერნატორი.

მუხლი მე-2. პუნქტი პირველი. სახლის ან სხვა უძრავ ქონების პატრონები ან მათი მოურავები ვალდებულნი არიან აცნობონ პოლიციის ადგილობრივ უბნის მმართველობას:

ა) ყოველი საგანგებო შემთხვევა,

ბ) ყოველი საეჭვო ყრილობა სახლში,

გ) გადამდებ სენის გაჩენა ადამიანზე ან პირუტყვზე,

დ) ვინმეს გარდაცვალება სახლში,

ე) ჩხუბის და ყოველგვარი დარღვევა წესიერებისა და მშვიდობიანობისა,

ვ) ცნობები იმ ქონების შესახებ, რომელიც დარჩა გარდაცვალებულს, გაქცეულს ან დაკარგულს მდგმურს და

ზ) ცნობები მათხოვართა შესახებ.

პუნქტი მეორე. სახლის პატრონები ან მათი მოურავები და სასტუმროს პატრონები ვალდებულნი არიან თვალ-ყური adევნონ, რომ მათ სახლებში არ იქმნას საიდუმლო სტამბა, არ ინახებოდეს ასაფეთქებელი მასალა და არ იყოს მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემათა აწყობა. მიწის მუშაობა-გათხრა ეზოებში, სახლის პატრონის დაუკითხავად, აკრძალული უნდა იქნას.

მუხლი მე-3. პუნქტი პირველი. სავალდებულო დადგენილებათა ასასრულებლად სახლის პატრონები ან სხვა უძრავ მამულების პატრონები ვალდებულნი არიან იყოლიონ მეეზოები.

ფელეტონი

სკოლის გარედ დარჩენილ ყრმათა ღაღადი

ვისაც სურს გაითვალისწინოს, თუ რამდენად სწყურიან ჩვენ ხალხს სწავლა-განათლების მიღება, თუ რა ძლიერად იწვის ის შვილების აღზრდის სურვილით, მან აგვისტოს ბოლო რიცხვებში გაისეირნოს ჩვენებურ საშუალო, გინა დაბალი, სასწავლებლების კარებისკენ. აქ ის დაინახავს ერთის მხრით ჩვენებური მშობლების უუმაღლეს ხარისხამდის მისულს, ფრთა-შესხმულს სურვილს შვილების აღრდისას და მეორე მხრით კი სრულს ჩვენს უღონობას ამ არსებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წინაშე. მიიწურება თუ არა აგვისტო და ჩვენ მოზარდ თაობასაც მიაქვს იერიში სასწავლებლების კარებზე. მეტად სასიამოვნო სანახავია ეს სწავლას მოწყურებული, სინათლის მეძიებელ ყრმათაგან შემდგარი ლაშქარი, მაგრამ მეორე მხრით მეტად გულ-საკლავ სურათს წარმოადგენს იგივე ლაშქარი იმ ომში დამარცხების შემდეგ, რომელსაც მისაღებ ეგზამენს ვეძახით და რომელიც, რაც დრო გადის, უფრო-და-უფრო რთულდება და ამ ჩვილ უსუსურ ყრმათათვის უფრო მიუვალ და ძნელ ასაღებ სიმაგრედ ხდება.

რა თქმა უნდა, ამ უთვალავ მცირე-წლოვან მეომართა შორის გამოვა ორი-სამი იშვიათი იღბლის პატრონი, რომელსაც ამ ომში, ასე თუ ისე, გამარჯვება დარჩება, მაგრამ აქ გამარჯვებულთა რიცხვს ნულარ სთვლით: ეს წვეთია ზღვაში; თქვენ დათვალეთ ის დიდი უმეტესობა, რომელიც მისაღებ ეგზამენში დამარცხდა და რომელთაც ცხვირ-წინ გამოუკეტეს სასწავლებლის კარები ამ სიტყვებით: „თქვენ უადგილობისა გამო უარი გეყოთ, ან და ჯერ მომზადებული არა ხართ, გაისათ მოდითო“. ოხ, რა უნუგეშობას ამოიკითხავთ ამ უბედურთა ცრემლ-მორეულ თვალებში! რა უზომო მწუხარება იხატება თვით მშობლების სახეზე! ეგზამენატორთათვის ადვილი სათქმელია „თქვენი შვილი ჯერ მომზადებული არ არის, სულ არაფერი იცისო“, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რა მახვილს გაუტარებენ ეს სიტყვები გულში მშობელს, რომელმაც უკანასკნელი გროში ამ ბავშის მომზადებას მოანდომა? როგორ მოქმედებს ასეთი ულმობელი (და იქმნება უსამართლოც) განაჩენი თვით იმ ნორჩ არსებაზე, რომელიც სულით და გულით მოწადინებულია სიბნელეს, უმეცრებას თავი დააღწიოს; ამისათვის არც შრომა დაუზოგავს, არც თვისი ჯანი, შეძლების დაგვარად კიდეც მომზადებულა, მოსულა და თვალ-ცრემლიანი გემუდარება: გამიღეთ სასწავლებლის კარი, იქმნება მეც ადამიანებში გამოვერიოვო. ულმერთობა არ არის განა ამ გვარი მთხოვნელის გაწბილება? ეს სწორედ იმასა ჰგავს, მშიერი კაცი მოვიდეს შენთან პურისთვის და შენ კი დახმარების ნაცვლად ადგე და ერთი ყოფა დააწიო, რატომ პური ბლომად არა გაქვსო.

საშინლად დაძმარებული ბრუნდება მშობელი სახლში და თან მიჰყავს თავისი უიღბლო შვილი, ომში დამარცხებული, შერცხვენილი, გულ-მოკლული. უკანასკნელის ცრემლი ზღვას ერთვის. დაძმარებული მიდიან ისინი სახლისკენ და თან ის მკრთალი იმედი-ღა უბჟუტავთ გულში, რომ ერთი წლის შემდეგ კვლავ მიიტანებენ იერიშს სასწავლებელზე უფრო მომზადებული, უფრო შეიარაღებული. მაგრამ ერთი წელიწადი, რომელიც ბავშს ეკარგვის, ცოტა დრო არ არის. შეიძლება ამ ერთი წლის განმავლობაში სრულიად აიყაროს მან გული წიგნზედაც და სასწავლებელზედაც, ან იქმნება მშობელს ამდენი ლოდინით ილაჯი გაუწყდეს და საწყალი, სწავლას მოწყურებული არსება, სადმე დუქანში მიაბაროს, ან რომელსამე ხელოსანს თვისი უმეცრების გადასაცემად. თუ გინდ რომ ბავშს სწავლის სურვილი შერჩეს და მშობელს კიდევ საკმაო სულ გრძელობა, ვინ არის თავდები, რომ გაისად ბავშს ათი იმდენი კონკურენტი არ ეყოლება და ორჯერ უფრო კარგად მომზადებული ყმაწვილი ეგზამენზე სამჯერ უფრო ძლიერად არ დამარცხდება ახლად შემოღებული „კონკურსების“ წყალობით?

დიაღ, როგორც ხედავთ, სწავლის სურვილი ჩვენში დიდია, მაგრამ ჩვენ სრულიად ძალღონე არ შეგვწევს ამ სურვილის გასაძლოლად. იმის ნაცვლად, რომ სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობას ყურთამდე გაუხსნათ იმ სახლის კარები, რომელსაც განათლების ტაძარს ვეძახით და რომელსაც ასე ბლომათ აწყდება მლოცველები, ჩვენ თითქმის განგებ ვავლებთ სასწავლებელს ეგზამენის და რაღაც „კონკურსების“ სახელით ათასგვარ მიუვალ ზღუდეებს. ხოლო რა თვისების არის ეს კონკურსი, ამას ნულარ იკითხავთ. მცირეოდენი, სრულიად უმნიშვნელო შეცდომა არის საჭირო, რომ შენმა შვილმა ამა თუ იმ საგანში „ორი“ მიიღოს და მისი მეტოქის გული სამუდამოდ გაახაროს. ასეთი კონკურსების დასახასიათებლად საკმაოა გავიხსენოთ, რომ მოსწავლეს, რომელსაც სამაგალითოდ დაუსრულებია ორკლასიანი სასწავლებელი თვისი ხუთი წლის კურსით, ძლიერ უჭირს ამა თუ იმ საშუალო სასწავლებლის პირველს კლასში ეგზამენის დაჭერა. თუ ორკლასიან სასწავლებელს ხეირიანი მასწავლებელი ჰყავს, ამგვარ სკოლაში კურს დამთავრებულმა მოწაფემ იცის შემოკლებით რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, აქვს ცოტაოდენი ცოდნა გეოგრაფიიდან, ელემენტარული გეომეტრიიდან, იცის თითქმის მთელი არითმეტიკა, თავისუფლად კითხულობს ადვილი შინაარსის წიგნებს და თავისუფლადვე მოუთხრობს რუსულად წაკითხულის შინაარსს; აქვს ცოტაოდენი ცოდნა გრამმატიკიდან და წერის დროს მაინცა და მაინც არ ღალატობს უმთავრესს ორფოგრაფიულს კანონებს და

პუნქტი მეორე. მცირე მამულების პატრონთ, რომელთაც ცოტა შემოსავალი აქვთ, პოლიცმეისტერის ნება-რთვითა და გუბერნატორის თანხმობით, ნება მიეცემათ შეერთდნენ რამდენიმე მეზობელთან და საერთოდ იყოლიონ მეეზოვე. სულ მცირე მამულის პატრონთ აგრეთვე ნება მიეცემა პოლიცმეისტრისა და გუბერნატორისაგან თვით აღასრულონ მეეზოეს ვალდებულებანი.

მუხლი მე 4. პუნქტი პირველი. მეეზოები და შვეიცრები ვალდებულნი არიან დაეხმარონ პოლიციასა და სახლის პატრონთ სახლებში წესიერების დაცვისა და ზემოხსენებულ ცნობათა შეგროვების საქმეში; ვალდებულნი არიან აგრეთვე აღასრულონ პოლიციის ყოველგვარი მოთხოვნა წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცველად.

პუნქტი მეორე. სახლის პატრონები ან მათი მოურავები ვალდებულნი არიან, პოლიცმეისტერის მოთხოვნის თანახმად, დაუყოვნებლივ დაითხოვონ სამსახურიდან არა კეთილ-საიმედო მეეზოები და სხვები აიყვანონ მათ მაგიერ.

მუხლი მე 5. პუნქტი პირველი. სახლის პატრონები ვალდებულნი არიან წესიერების დასაცველად დააწესონ მეეზოეთა მორიგეობა ქუჩებში.

შენიშვნა. მეეზოეთა მორიგეობის წესრიგს შეადგენს პოლიცმეისტერი.

პუნქტი მეორე. მორიგეობის დროს მეეზოე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ სხვა საქმისაგან.

პუნქტი მესამე. მორიგე მეეზოე ვალდებულია დაეხმაროს ყოველ კერძო პირს, რომელიც მას შველას მოსთხოვს, და უნდა აღასრულოს ყოველი კანონიერი მოთხოვნა პოლიციისა.

პუნქტი მეოთხე. მორიგ მეეზოეს უნდა ჰქონდეს გულზე დაკიდებული ნიშანი, რომელსაც შემოიღებს გუბერნატორი.

პუნქტი მეხუთე. მორიგი მეეზოე ვალდებულია აღასრულოს ყველა საქმე იმ წესზე, რომელიც დადგენილი იქნება პოლიცმეისტრის განსაკუთრებულ ინსტრუქციაში.

მუხლი მე-6. ის, ვინც ამ სავალდებულო დადგენილებათ არ აღასრულებს, ადმინისტრატიულის წესით იქნება დასჯილი: გადახდება ჯარიმა 500 მანათამდემ ან დაპატიმრებულ იქნება 3 თვემდე. ამ სასჯელთა დადება ევალება ტფილისის გუბერნატორს.

მუხლი. მე-7. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში 1902 წლის 15 იანვრიდან შედიან.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

15 ნოემბერი

პეტერბურგი. 15 ნოემბერს მოსკოვიდან დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე თავის მეუღლით მოვიდა და ცარსკოე სელოში წავიდა.

ვენა. ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი თავისი მეუღლით ბერლინში წავიდა. ერცჰერცოგი იმპერატორის ნადირობაში მიიღებს მონაწილეობას.

ტამბოვი. 15 ნოემბერს რუსის ცნობილი ტრაგიკი არტისტის რიბაკოვის გარდაცვალების შემდეგ 25 წელიწადი შესრულდა; ამის გამო არტისტის პატივსაცემლად დღესასწაული გამართეს.

ვარშავა. აქაური შაქრის ქარხნების პატრონებმა პროექტი შეადგინეს, რომ ყოველ ქარხანას ჭარხლის პლანტაცია შეუმცირდეს და თხოულობენ, რომ ეს პროექტი მთავრობამ დაამტკიცოს. მექარხნეთ სწადიათ, რომ შაქარი იმაზე მეტი არა მზადდებოდეს, რასაც მექარხნეთა სინდიკატი დაჰნიშნავს ხოლმე.

ლონდონი. «ტაიმს»-ს სწერენ პრეტორიიდან: «ამ ჟამად ბრძოლის ველზე ბურებს 70 რაზმი ჰყავთ. ყოველ რაზმში 50—400 კაცია. ამ რიცხვიდან 26 რაზმი ტრანსვაალშია, დელაგოას რკინის გზის ჩრდილოეთით 7 რაზმია, ყოველ რაზმში დაახლოვებით 1,100 კაცია. ამ რკინის გზას სამხრეთით 11 რაზმია, თითოში—1,600 კაცი იქნება და კიდევ 8 სხვა რაზმია ტრანსვაალის დასავლეთ ნაწილში. კაპის კოლონიაში 10 რაზმი უმთავრესი რკინის გზის დასავლეთითაა და 3—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ოლქებში. კიტჩენერს სულ 45,000 კაცი ჰყავს.

პარიზი. სოციალისტებისა და რადიკალების დასთა მრავალი წევრი აცხადებს პალატაში, რომ სამინისტროს რეაქციონერების ვერაგობისა და მტრობისაგან დავიცავთ და როცა პალატა სესხის პროექტს მესამედ წაიკითხავს, ჩვენც მთავრობას მივემხრობითო.

რესპუბლიკელ მოვაჭრეთა და მრეწველთა კომიტეტის წლიურ კრებაზე ვალდეკ-რუსსომ ილაპარაკა. პირველმა მინისტრმა სთქვა: მთავრობა ცდილობს, რომ რესპუბლიკელთ დასის ყველა ჯგუფები შეაერთოს. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, ეს ჯგუფები შეაერთოს და ყველაფერი, რაც კი ამათში განხეთქილებას ჩამოაგდებს, მოსპოს. შემდეგ მინისტრმა გაახსენა კრებას, რომ გამბეტასა და ფერის მსგავსად კოლონიალურ პოლიტიკას მივსდევთ, ამას წინად იქნება ნამეტანის სიცხარით გამოვესარჩლე ამ პოლიტიკას, ზოგმა კიდეც დამწამა, ვალდეკ-რუსო იმპერიალიზმის მომხრეაო (იცინიან), მაგრამ არხეინად ბრძანდებოდეთ: იმპერიალიზმი არც გარედ და არც შინ ფიქრადაც არ მოგვდის. ჩვენ ახალი კოლონიების შეძენას არა ვცდილობთ, მარტო ძველი კოლონიების შენახვასა და მოწყობისა ვფიქრობთ. ჩვენ იმას ვოცნებობთ, რომ საფრანგეთი სივრცით კი არა, სოციალური კანონებისა და ვაჭრობის განვითარებით ძლიერდებოდეს. მინისტრის სიტყვა კრებას ძლიერ მოეწონა.

ლონდონი. ლანსდოუნმა დარლინგტონში ილაპარაკა. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბოლოში მოიხსენია, რომ უნიონისტების კრებას ვერ დავესწრიო: ლონდონში დავრჩი, მინდოდა, უკანასკნელი სალამი მიმეცა და პატივი მეცა დიდებულ დიპლომატის ჰაცფელდისათვის. ეს კაცი გერმანიის წარმომადგენელი იყო და როგორც დიდებული მეგობარი ერის წარმომადგენელს, ყველა პატივს სცემდა. ორატორმა გაკვრით მოიხსენია ჩემბერლენის სიტყვა და ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ სიტყვამ გერმანიის ერზე მოახდინა. მინისტრის აზრით, ჩემბერლენს საწყენი არა უთქვამს რა და ვისიმე წყენა, ხომ გუნებაშიაც არა სდებია. ამას შემდეგ ლანსდოუნი აღნიშნავს, რომ ინგლისს ყველა სახელმწიფოები მეგობრულად უცქერიან. იქნება შეერთებულ შტატებთან კი მოგვივიდეს უთანხმოება სავაჭრო ხელ-შეკრულობისა და ნიკარაგუას არხის თაობაზე. სამხრეთ-აფრიკის ომის საქმე კარგად მიდის და კემპბელ-ბანერმანის შეხედულება და აზრები სწორე არაა.

პარიზი. ხელმწიფე-დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში სადღესასწაულო წირვა გადაიხადეს. წირვას დაესწრნენ ელჩი თავადი ურუსოვი, საელჩოს ყველა წევრები და რუსის კოლონიის გამოჩენილი წარმომადგენლები

პეტერბურგი. პეტერბურგში მისვლის შემდეგ, 13 ნოემბერს, იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე მარკიზ იტო გარეშე საქმეთა მინისტრთან წავიდა სანახავად. მინისტრმაც მაშინვე გადაუხადა ვიზიტი. ხუთშაბათს მარკიზ იტო ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო ცარსკოე სელოში აუდიენციაზე. საღამოთი იტოს პატივ-საცემლად გარეშე საქმეთა მინისტრმა საპარადო სადილი გამართა. სადილად მიწვეულები იყვნენ: იტოსთან მოსული იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ამხანაგად ნამყოფი ცუძკი, იაპონიის მისიის ყველა წევრები, იაპონიის რწმუნებული სუგიმურას მეთაურობით, იმპერატორის უმაღლესი მოხელენი და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელენი.

15 ნოემბერს შორეულ აღმოსავლეთიდან გვარდიის მე-2 მსწრაფლ-მსროლელი ბატარეა დაბრუნდა. ბატარეას დიდის ამბით და გულწრფელად დაუხვდნენ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი. გარდაცვალებული რიფაატ-ფაშის მაგივრად, ხონთქარმა საიდ-ფაშა დანიშნა დიდ-ვეზირად. «ფრანკ. ცაიტ.»-ი სწერს: საიდ ფაშას მეტ სახელს «კუჩუკ»-ს (პატარა) ეძახიან. ახალი დიდი ვეზირი 66 წლისაა; წინად ორჯელ იყო დიდ-ვეზირად; პირველად 1882—1885 წელს იყო და მეორედ 1895 წელს. ბოლოს ხონთქარი გაუწყრა, ასე რომ საიდ-ფაშას აღარც კი ეგონა, თუ ცოცხალი გადარჩებოდა და ინგლისის საელჩოში დაიმალა. მერე ხონთქარმა ყველაფერი აპატია და ხმაც აღარ გასცა. ამას გარდა, საიდ-ფაშამ სთხოვა ხონთქარს, თავის დღეში ნუღარ დამნიშნავ სახელმწიფო თანამდებობაზეო. ეტყობა, ეხლა ხონთქარი ბევრს რასმე დაჰპირებია, რომ საიდ-ფაშას დიდ-ვეზირის თანამდებობა უკისრნია. «პატარა» საიდი რეფორმების მომხრეა, მაგრამ იმ აზრისაა, რომ ეს რეფორმები მთავრობამ უნდა მოახდინოს და არა მარტო ხონთქარმა, ასე რომ სანამ რეფორმებს მოახდენდნენ, ჯერ საჭიროა თითონ მთავრობისა და ხონთქრის ურთიერთობა შეიცვალოს. მაგრამ დიდ ვეზირს იმდენი გავლენა და ძალა არა აქვს, რომ ეს ურთიერთობა გააუმჯობესოს.

«ბერლინერ ტაგებლატ»-ი სწერს: საიდ-ფაშის დიდ ვეზირად დანიშვნა ყველას ეწყინა. ამ ბოლო დროს ხონთქარი სასახლის გაიძვერა მოხელეებს ჩაუვარდა ხელში და ვისაც ისინი

ნუთუ ყველა ეს საკმაო საბუთს არ იძლევა იმისას, რომ ამგვარად მომზადებული ბავშვი დაუბრკოლებლად შეიძლებს გიმნაზიის, გინდ რეალურ სასწავლებლის პირველი კლასის კურსის მოსმენას? ჩემის აზრით, ორკლასიანი სასწავლებლის უუსუსტესი მოსწავლეც შესძლებს ამას, მაგრამ ეგზამენზე ამ მოცილეთა ჯიბრში ამგვარი სასწავლებლის უღონიერესი მოსწავლეც ადვილად მარცხდება. ან კი რა დიდი საქმე უნდა ბავშვის ჩაჭრას: საკმაო არის შენმა შვილმა რუსულად ვერ დაასახელოს რომელიმე ცხვირზე მისდა საუბედუროდ ამოსული მეჭეჭი (бородавка), ან რომელიმე გახუნებული სერთუკის სახელოს ნაკეცი (обшлага), რომ რუსულს ენაში ორი მიიღოს, სასწავლებელს სამუდამოდ გამოესალმოს და უმეცრების მსხვერპლი გახდეს. რა თქმა უნდა, მე აქ ბრალს არც ეგზამენატორებს ვსდებ და არც სასწავლებელს, ერთიც და მეორეც სცდილობს მოცილეთა შორის უმჯობესი გამოარჩიოს. აქ დამნაშავე არის ჩვენი ხელმოკლეობა, ჩვენი სრული უძლურება ისეთს დიდ და არსებითი მოთხოვნილების გაძღოლის საქმეში, როგორიც შვილების აღზრდის საქმეა. ამდენი უმანკო ცრემლის სათავეც იმ გარემოებაში უნდა მოიძებნოს, რომ ადგილი არ გვაქვს, ასზე ერთი თავისუფალი ვაკანსია მოდის და ჩვენც იძულებული ვართ ამ ადგილის შეძენას მოწადინებულ ყრმათა შორის ომი გავმართოთ, ომი სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო, რომელშიაც ეგზამენატორები თვისდა უნებურად ნამდვილ ინკვიზიტორების როლს თამაშობენ. ან კი მეტი რა ღონე არის, როცა ერთს ადგილს ასი ცრემლ-მორეული თვალები შეჰყურებს, როცა ერთს ოთხმოცდა ცხრამეტი მეტოქე უდგას წინ საომრად დამზადებული, როცა ერთმა ოთხმოცდა ცხრამეტი უნდა დაამარცხოს, მაგრამ მტერი კი არა, მასავით სწავლა მოწყურებული, სინათლის მაძიებელი მოყვასი.

რაღა გვეთქმის გიმნაზიებზე და საზოგადოთ ისეთი ტიპის სკოლებზე, რომელთაგან სამას-ოთხას ათას სულზე ერთი მოდის მხოლოდ, როცა სოფლის სკოლებიც კი სანახევროდ ვეღარ იტევენ წერა-კითხვის შესწავლის მსურველთ. მე შემთხვევით მოვხვდი წელს გურიაში ბავშვების მიღების დროს ერთ სოფლის სკოლაში, რომლის შენახვა სოფელს წლიურად ათას მანეთზე მეტი უჯდება და რომელშიაც სამი მასწავლებელი იღვწის. ოცდა ხუთ თავისუფალ ადგილს ასზე მეტი სიცოცხლით სავსე მარდი სოფლის ბიჭუკელები შეჰყურებდა და თქვენ წარმოიდგინეთ ამათი გოდება, როცა სკოლის გამგე იძულებული გახდა ამდენი ბავშვებიდან მხოლოდ ოცდა ხუთი მიეღო წილის ყრით. მშობლების ყვირილს, მუქარას, სრულიად უმართლოდ მიმართულს სკოლის გამგეობისაკენ, საზღვარი არ ჰქონდა და ადგილობრივ მამასახლისს კინაღამ მუშტით მისცვივდნენ, როცა ამ უკანასკნელმა სკოლის წინ თავმოყრილ სოფლელებს ასეთი ჰუმორით მიმართა:—თქვე დალოცვილებო, რომ მოუხშირეთ ბალღებს, ჯერ იკითხეთ, სკოლაში ადგილი თუ გეშოვებათ, და მერე იზრუნეთ შვილების გამრავლებაზეო.

ასე მიდის ჩვენი საქმე. სხვაგან სკოლებს მართვენ სპეციალური განყოფილებით მუნჯებისათვის, ყრუებისათვის, ბლუებისათვის, ფიზიკურად დაავადმყოფებულთათვის, იქ სიბნელეს სტაცებენ ხელიდან იმას, ვინც თვისი ფიზიკური გინდ გონებრივი სიმახინჯით სიბნელის მსხვერპლად დაბადებულა და ჩვენში კი სრულიად საღი ბავშვისათვის სკოლაში ადგილი არ გვეშოვება. ჩვენ სიბნელეს ვაძლევთ პირში სრულიად საღს, სინათლის სახილველად გაჩენილს არსებას. რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ თქმულიდან? ის, რომ, რახან მთავრობის მიერ დაარსებული სასწავლებლები აღარ გვყოფნის, რახან ასში მხოლოდ ოცი და ოცდა ათი იშვიათი ბედის პატრონი შოულობს სკოლაში ადგილს და დანარჩენი სკოლის გარედ რჩება, დიდი შეცდომა იქნება ჩვენის მხრით გულხელ დაკრეფილი ვისხდეთ და ორიოდ საშუალო სასწავლებელს შევყურებდეთ: აცა, რომელს ჩვენგან გაუღებს ცა პირს და გააბედნიერებს ამა თუ იმ თავისუფალი ვაკანსიითაო. ამგვარ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა კერძო ინიციატივას, კერძო პირთა, გინა საზოგადოებათა თაოსნობას. ამ მხრით მიბაძვის ღირსია გურია საზოგადოთ და კერძოთ ლანჩხუთის საზოგადოება. თუმცა სწავლა-განათლების საქმეში გურულებს კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, მაგრამ სხვა მაზრებთან შედარებით ოზურგეთის მაზრას საკმაოდ დიდი ნაბიჯი აქვს წადგმული ამ მხრით. იმას გარდა, რომ თითქმის ყველა ეკკლესიებთან სამრევლო სკოლები დაიარსეს და ყველა 25 საზოგადოებაში თითო კლასიანი სამინისტრო სკოლები, ოცამდე სოფლის საზოგადოებამ თვისი ერთკლასიანი სკოლები ორკლასიანად გადააკეთეს ხუთი წლის კურსით, ხოლო ამგვარი სკოლები სოფელს დიდ სიკეთეს მოუტანენ, უკეთუ მათი მასწავლებლები საჭირო მხნეობას, სიფხიზლეს გამოიჩენენ და ზოგიერთ ცრუ პედაგოგთა ჩაგონებით აღზრდის საქმეში საღს პედაგოგიურს პრინციპებს არ უღალატებენ.

რაც შეეხება ლანჩხუთს, ამ სოფლის სიფხიზლემ მოლოდინს გადააჭარბა. ამ სოფელში ექვსი პირველ დაწყებითი სასწავლებელია და მათში სამი ორ-კლასიანებია—ერთი საქალებო და ორი სავაჟო; მაგრამ ყველა ამას არ სჯერდება ეს სოფელი და ამ დღეებში კიდევ განაჩენი შეადგინა სამოქალაქო სასწავლებლის გახსნის შესახებ. რა თქმა უნდა, შედარებით, ერთი პატარა საზოგადოებისგან ეს დიდი მსხვერპლია შვილების აღზრდის საქმეში და მერე კიდევ ეს მსხვერპლი არ გეგონოთ რაიმე შემთხვევის, ძალ-დატანების ნაყოფი, არა ეს გამოწვეულია აუცილებელი საჭიროებით, ამის მიზეზი იქ უნდა ვეძებოთ, რომ ლანჩხუთლებმა ან სულ ვერ იშოვეს ალაგი ამა თუ იმ სამოქალაქო სასწავლებელში, ან თუ იშოვა ორმა სამმა მათგანმა, სამაგიეროდ კარგად გამოსცადა, რომ ქალაქში ბავშვის მიბარება ერთი ათად მეტ ხარჯს თხოულობს, ხარჯს იმდენათ საგრძნობელს, რომ ზოგიერთი ხელ მოკლე კაცისათვის ეს შეუძლებელიც არის.

იმედია, სათანადო მთავრობა ყურადღებით მოეპყრობა ლანჩხუთლების თხოვნას და სამოქალაქო სასწავლებლის გახსნაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყვიან, ჰნიშნავს დიდ თანამდებობაზე. სიად-ფაშა უმთავრესად იმ პირობას იძლევა, რომ სახელმწიფო ფულს გაუფრთხილდებით. მაგრამ რასაც ფულს გადაარჩენს, მთლად სასახლის მოხელეებს მოახმარებს. ევროპიელებს ახალი ვეზირი მტრულად უყურებს. ყველამ იცის, რო[illegible] ვეზირად იყო, სიად-ფაშა სულ იმასა ცდილობდა, რომ ყველა ქრისტიანი-მოხელეები მოეშორებინა.

ახალ დიდ-ვეზირზე გაზეთი «კოლნიშე ცაიტუნგ»-ი სწერს: სიად-ფაშას მეტად განათლებული და ზრდილობიანი კაცის სახელი აქვს; დიდი ცოდნის პატრონია, ფრანგულს კარგად ლაპარაკობს. უფლება რომ მისცენ, არას დაჰზოგავს და ოსმალეთის ადმინისტრაციას გააუმჯობესებს. მაგრამ არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ ამ ბოლოს დროს დიდ-ვეზირს აღარა აქვს ის მნიშვნელობა და გავლენა, როგორიც ად[illegible] ჰქონდა. ხონთქარი თითონ ჰმართავს ყველა საქმეებს. ამიტომ არა გვგონია, რომ სიად-ფაშამ სცადოს, თუ საშინაო პოლიტიკაში ბევრი რამ გაარიგოს, თუმც კი საზოგადოება და ხალხი დიდ პატივსაცა სცემენ. მათ უმეტეს ვერას გაარიგებს, რომ სიად-ფაშა თითქმის 70 წლის კაცია.

ავსტრ-უნგრეთი. პარლამენტში ბერების კრებულებზე ჰქონდათ მსჯელობა. ამ დროს ჩეხმა დეპუტატმა კლოფაჩმაც ილაპარაკა: სლავიანებიც უსათუოდ რომსა და კათოლიკე სარწმუნოებას უნდა გადაუდგნენო. ორატორმა სთქვა: კლერიკალიზმის განვითარებას შემზღუდველად საზღვარი უნდა დაუდვათ. ჩეხის ერმა თავის წარსული და ჰუსიტების ბრძოლა უნდა გაიხსენოს და სხვა ერებითურთ კლერიკალიზმის წინააღმდეგ გაილაშქროს. კლერიკალიზმი ისეთი ძლიერი მტერია, რომ მასთან საბრძოლველად ავსტრიის ყველა ერები უნდა შეერთდნენ.

გერმანია. სადამოჟნო ტარიფის დასამტკიცებლად აგრარიები სცდილობენ სხვა დასებიც მიიმხრონ. ამის თაობაზე «ფრანკფურტერ ცაიტუნგა»-ი ამბობს:

«ეს ამბავი ახალი არაა. დასების ამნაირი კავშირი ეხლანდელ რეიხსტაგში კიდეც არსებობს; ამ კავშირს აგრარიების დასი უწევს მეთაურობას. ყოველ სესიის დროს გვესმის: ეს და ეს დასები ერთად მოქმედებენ და სცდილობენ, რომ ეს და ეს კანონ-პროექტი დაამტკიცონო, მაგრამ აქამდე ამისთანა კავშირები ვერასა ჰხდებოდნენ მომეტებულ ნაწილად იმიტომ, რომ ცენტრი (კათოლიკეთა დასი) წინააღმდეგი იყო ხოლმე. თუმცა ცენტრი აგრარიებს ბევრში თანაუგრძნობს, მაინც აგრარიების მეთაურთა ბატონობა ეხამუშება. აგრარიები და ცენტრი პარლამენტში, თუ გარედ ძლიერ ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამას გარდა, ცენტრს სწადიან, რეიხსტაგში პირველი ადგილი ეჭიროს, ყველა ეს, ჩვენის აზრით, დიდად შეაფერხებს სადამოჟნო პროექტის დამტკიცებას.»

✡ გერმან. გაზ. «დაუჩე კორესპონდ»-ი (ლონდონში გამოდის) არწმუნებს: იმპერატორი ვილჰელმი ერთ სახელმწიფო კაცს ელაპარაკა და უთხრა: «მტკიცე იმედი მაქვს, რომ სადამოჟნო ტარიფი მიღებული იქნებაო. გაზეთი ამბობს: «იმპერატორს იმედი აქვს, რომ ეხლანდელ კანონ-პროექტს რეიხსტაგში უფრო მალე დაამტკიცებენ, სინამ 1879 წლ. სადამოჟნო ტარიფი იყო დამტკიცებულიო. მკაცრი პოლემიკა და აგიტაცია დაცხრება; რეიხსტაგის დეპუტატებმა კარგად იციან, თუ რა დიდი პასუხის გება აქვთ ნაკისრი. რეიხსტაგი ადვილად სძლევს ყველა დაბრკოლებას. ოღონდ ერთი ბეწო პატრიოტული გრძნობა კი ჰქონდეს კაცსა და მაშინ მძიმე საქმეც კი გაადვილდება.»

ამის თაობაზე «პოსტ»-ი სწერს: «ჩვენ არაფერი საბუთი არა გვაქვს, რომ ეს ცნობა არ დავიჯეროთ. ამიტომ ამას იქით ვეღარავინ იტყვის, ვითომ იმპერატორი მტრულად უყურებდეს სადამოჟნო ტარიფს».

ინგლისი. «ბერლინერ ტაგებლატ»-ი ამბობს: «ლონდონის ბირჟა ძლიერ გულ მოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს სამხრეთ-აფრიკის საქმეებს და ხმას არავის აღებინებს უბედურ და საზიზღარ ომზე. ბირჟის წევრს ბ-ნს პიტერსონ ნიკოლსს მედსტონში ელაპარაკნა და ძლიერ გაეკიცხა ეს ომი. მეორე დღეს ბირჟაზე რომ მისულიყო, ყველას გინება და ლანძღვა დაეწყო. მეგობრები რომ არ მიჰშველებოდნენ, ბირჟის ბოთლები ნამდვილად სცემდნენ გამბედავ კრიტიკოსს. ბირჟის კრება პატრიოტიული სიმღერით დასრულდა. ბირჟის გულისათვისაა ატეხილი ეს უბედური ომი და მაშ ვიღამ უნდა გამოიღოს თავის მის დასაცველად, თუ არა ბირჟამ.»

✡ გაზ. «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: «გუშინ ირლანდიაში, ჰალვეიში ლინჩის ამორჩევის შემდეგ, დიდი უწესოება მოხდა. ხალხმა მთავრობის მომხრე ირლანდიელებს სახლებში შუშები დაულეწა. პოლიციამ ბევრ მოჩხუბარს სცემა. ბევრი ხალხი დაატუსაღეს.»

✡ რაკი თითონ ინგლისის ჯარი ვერას ხდება ბურებთან, ინგლისის მთავრობამ ზანგებიც მიიშველია. ამ დღეებში გრიკუალანდის და ტემბურის ზანგებმა ინგლისელებს დიდი დახმარება გაუწიეს. გატერგოს ახლო ბურები დაეცნენ ინგლისელებს, მაგრამ ხსენებული ზანგები ინგლისელებს მიეშველნენ და ბურები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

შეერთებული შტატები. გერმანიის ელჩს ვაშინგტონში ბ-ნ გოლებენს ერთი ამერიკელი ჟურნალისტისათვის უთქვამს: «იმპერატორმა ვილჰელმმა მომანდო, პრეზიდენტს რუზველტს ჩემი მეგობრული სალამი და მილოცვა გადავეციო, მსურს, რომ პრეზიდენტი გამარჯვებული გამოვიდეს პოლიტიკურ საქმეებშიო. გერმანიის იმპერატორს უყვარს ამერიკის სწრაფი წარმატება და გულ-წრფელი მეგობრობით უცქერის ამ მოწინავე ქვეყანასაო. ყველა ის ხმები, ვითომ იმპერატორს ევროპის სახელმწიფოთა შეერთება ეწადოს ამერიკის გაძლიერების წინააღმდეგ საბრძოლველად, სულ ტყუილი ხმებიაო. ტყუილია აგრეთვე ის ამბავიც, ვითომ გერმანია სცდილობდეს, რომ სამხრეთ-ამერიკაში და ვესტ-ინდოეთში ქვა-ნახშირის სადგურები შეიძინოსო. ეს ამბავიც გერმანიის მტრებისაგანაა მოგონილი: გერმანიისა და შეერთებულ შტატების მეგობრობა მოსვენებას არ აძლევს ზოგიერთ სახელმწიფოებსაო.

დასასრულ ელჩს ეთქვა: მე მონდობილი მაქვს გამოვაცხადო, რომ ყველა ამნაირი ამბები ტყუილია. ამერიკის მთავრობას კიდევ ოფიციალურად უნდა გამოუცხადო, რომ გერმანია რისამე შეძენას ამერიკაში სრულებითაც არა ჰფიქრობსო.

შვეიცარია. ერის უფლებისა და მოვალეობის დამცველმა საზოგადოებამ ევროპის და ამერიკის ყველა ერებს წერილი მისწერა სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზე. შვეიცარიელი საზოგადოება დაწვრილებით აწერს ყველა ამ უბედურებასა და საზარელ სისხლის ღვრას, რაც ამ ომს მოჰყვა, და აღნიშნავს, თუ რა გულგრილად უყურებენ ყველა ერები ბურების ტანჯვასა და საცოდავობას, მეტადრე უდანაშაულო უსუსური ბავშვების და უმწეო ქალების შეწუხებას. ცარიელი თანაგრძნობა არა კმარა, ყველანი მოვალენი არიან, გმირ ბურებს დახმარება გაუწიონ და მძლავრ ინგლისს ფეხ ქვეშ არ გაასრესინონო. ბოლოს საზოგადოება ასე ასრულებს თავის წერილს:

«განა შეერთებულ შტატებს ევროპიელებმა არ უშველეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომის დროს. ოსმალეთისა და საბერძნეთის დავაში რამდენჯერ გაერივნენ დიდი სახელმწიფოები? განა ბურებს კი არავინ უნდა დაეხმაროს! იმედი გვაქვს, რომ ამათაც შეეწევა ვინმე. ევროპისა და ამერიკის ყველა ერებს გსთხოვთ, ყველგან კრებები მოახდინონ ყველამ ერთსა და იმავე დღეს, სახელდობრ 1901 წლის, 1 დეკემბერს და ძალა დაატანონ მთავრობას, რომ დაჩაგრულ ხალხს უშველონ».

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა დაიხურება 21 ნოემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. 22 ნოემბერს ექსპონენტებს ნება მიეცემათ წაიღონ თავიანთი ექსპონატები.

✦ გუშინ უმთავრესმა საექსპერტო კომისიამ, ბ. მედვედიევის თავმჯდომარეობით განიხილა ექსპონენტების დაჯილდოვების საქმე. ჯილდოები გამოცხადდება 21 ნოემბერს.

✦ **საქალაქო სკოლების კომისია**, როგორც წინათ, ეხლაც იმ იმ აზრის არის, რომ ავლაბარში საჭიროა პროგიმნაზია და თუ ეს შეუძლებელი შეიქმნა, პროგიმნაზიის მაგიერ უნდა გაიხსნეს 8 კლასიანი ტეხნიურ-მექანიკური სასწავლებელი სამთო განყოფილებით. კომისიის კიდევ ექნება ამ საგანზე მსჯელობა.

✦ ქალაქის გამგეობა იქამდი ყოველ წლობით 500 მან. შემწეობას აძლევდა ტფილისის **საშუალო განათლების კურსებს** მომწყობელთა და გამგეთ საქმის საწარმოებლად; ხოლო, რადგანაც ამ საქმის მეთაურთ განიზრახეს ცალკე სადგომის დაქირავება კურსებისათვის და ამისათვის კი საკმაო თანხა არა აქვთ, ამიტომ ამას წინად მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს აღნიშნულ ყოველ წლიურ შემწეობის გადიდება. ეს შუამდგომლობა გარდაეცა განსახილველად ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც კიდეც განიხილა იგი 15 ნოემბრის საღამოს სხდომაზედ და გარდასწყვიტა ყოველ წლობით კურსების მომწყობთ 500 მან. ნაცვლად 1000 მანეთის შემწეობა ეძლევოდეს; კომისია ახლოს მომავალში ამ დადგენილებას განსახილველ-დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქის გამგეობას.

✦ ხვალ, 18 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნუ-

---

ნებას დართავს. იმედია აგრეთვე, რომ ლანჩხუთლებს მიმბაძავნი გამოუჩნდებიან და სხვაგანაც შეეცდებიან საკუთარის თაოსნობით რისამე ამგვარის შექმნას.

ეს, რაც ჩამოვთვალეთ გურიაში, სულ სოფლის საზოგადოებათა მუშაობა არის. ამ ბოლოს დროს კი, ჩვენდა სასიხარულოდ, კერძო კაცთა თაოსნობამაც იჩინა თავი. ამ დღეებში ოზურგეთში რამდენიმე ახალგაზდა ქალთა თაოსნობით კერძო ქალთა პროგიმნაზია დაარსდა და საქმე თურმე ჩინებულად მიდის. ჩოხატაურის ახლო კიდევ სოფ. ციხეში ძმებმა შარაშიძეებმა დააარსეს ორკლასიანი კერძო სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით და ისეთის მხნეობით მოეკიდნენ საქმეს, რომ მათის ნამოქმედარით მნახველები აღტაცებაში მოდიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასეთის მხნეობით განაგრძეს მუშაობა სკოლის დამაარსებლებმა, ამ საქმეს თვისდა სასახელოდ დააგვირგვინებენ და ერთი იმ ტიპის სასწავლებელი, რა გვარიც ბ-ნ შარაშიძეებს მოუფიქრებიათ, გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანს იმ კუთხეს, მინამ ათი და თორმეტი უბრალო წერა-კითხვის სკოლები, ასე უხვად გახსნილი მათ გარეშემო დიაკვნების მიერ. აზრიანი მუშაობაც, ჩემის აზრით, ეს არის.

ამ პატარა კაცების მუშაობასთან რა [illegible] ის დიდი ღვაწლი, რომელიც წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სულის ჩამდგმელმა ბ. ი. წინამძღვრიშვილმა დასდო ჩვენს ქვეყანას, მაგრამ წარმოიდგინეთ ერთ წუთში მაინც, თუ რა ფას დაუდებელი სიკეთე მოუტანა ჩვენს მხარეს ამ სკოლამ; რამდენი შეგნებული, ცნობიერი მუშა-ხელი შესძინა ქვეყანას—და ადვილად გაითვალისწინებთ, თუ რის შემძლე ყოფილა კერძო ინიციატივა, კერძო კაცის თაოსნობა. დიახ, ჩვენ ეხლა ისეთ პირობებში ვართ, რომ უეჭველად უნდა შევეცადოთ საკუთარის ღონით თვისთა საჭიროებათა დაკმაყოფილებას, უნდა შევიგნოთ, რომ უმოქმედობა და შეუწყვეტლად სხვისი აპეკის ქვეშ ყოფნა ისეთ დიდ საქმეში, როგორიც შვილების აღზრდა არის, ხეირს არ დაგვაყრის და უფრო ფართო ასპარეზი დავუთმოთ კერძო ინიციატივას, უნდა ვიზრუნოთ კერძო სასწავლებლების გახშირებაზე და უკვე დაარსებულის გაფართოვებაზე. ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ იმ გარემოებას, რომ ამგვარ სასწავლებელში კურს დამთავრებული მოკლებული იქნება უფლებებს. ჩვენ გვინდა, ერთი სიტყვით, მოქალაქობრივი გრძნობით კარგად გამსჭვალული კაცები და ასეთ ადამიანების აღზრდას კერძო სასწავლებელიც კი შესძლებს, თუ ხეირიანი ხელმძღვანელი ეყოლება. ჩვენ შემოგვცქერიან მრავლისაგან უმრავლესი ეგზამენში დამარცხებულთა ცრემლ-მორეული თვალები, ჩვენ ყურებამდის მოდის გოდება ყმათა, რომელთაც, უადგილობის გამო, ისე გულცივად გამოუკეტეს ცხვირ წინ სასწავლებლის კარები და უმეცრების მსხვერპლად დააგდეს. ამათ თვალებზე ობოლ მარგალიტივით წყვილად გადმოკიდებული ცრემლი ცხადად ღაღადებს, რომ ამ ნორჩ არსებათ ძლიერ ეშინიათ უმეცრების, სიბნელის, საცა ადამიანს იმდენი მარცხი და განსაცდელი მოელის; გრძნობენ ცოდნის ცხოველ-მყოფელობას, სწყურიათ მისი შეძენა და ორსავ ხელებს მუდარით სინათლისკენ იშვერენ. ჩვენც მოვალე ვართ მაშველი ხელი გავუწოდოთ ამათ, მივცეთ საშუალება, რომ ისინიც დაეწაფონ იმ მადლის წყაროს, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ერთნაირად იფერებს ყველას, მდიდარს და ღარიბს, გლეხს და თავადს, ბატონს და ყმას, წოდებათა განურჩევლად.

ერთი სიტყვით ჩვენ გვესმის სწავლის მოწყურებულ ყრმათა ღაღადი და ყური არ უნდა მოვიყრუოთ ამ ღაღადის წინაშე, ჩვენ უნდა ვუშოვოთ მათ ადგილი სასწავლებელში და ბავშვისთვის სულ ერთია სახელმწიფო სასწავლებელი შეითვისებს მას თუ კერძო კაცისგან დაწესებული. ხალხს ცოდნა ესაჭიროება, სინათლე სწყურია და მისთვის სულ ერთია სახელმწიფო სკოლა მოჰფენს მას სინათლეს, თუ კერძო სასწავლებელი, სამკითხველო თუ საკვირაო სკოლა, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები თუ საჯარო ლექციები. ყველა ეს ძლიერ მარჯვე იარაღად აღიარებულია ცოდნის გავრცელების საქმეში სხვაგან და ჩვენც ამ საშუალებათ უნდა მივმართოთ.

რაკი წერა-კითხვის გავრცელების საქმეში კერძო ინიციატივაზე სიტყვა ჩამოვარდა, ჩვენ უნდა მოვიგონოთ „ქ. შ. წერა-კით. გ. საზოგადოება". ეს ერთად ერთი საზოგადოება არის ჩვენში, რომელსაც სავსებით უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი სიმპატია, ჩვენი თანაგრძნობა. თვით საზოგადოების დიდი მიზანი ხდის ამ დაწესებულებას საერთო ჩვენი ყურადღების ღირსად. იმედია, ეხლა მაინც შევიგნებთ ამ ფრიად სიმპატიური საზოგადოების მნიშვნელობას (რასაც დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ერთი ათად აძლიერებს) და არ დავზოგავთ თავის წვლილს, რომ ხელი მოუმართოთ ამ დაწესებულებას და მივცეთ მას შეძლება იდგეს იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზედაც ყოფნას ავალებს ისეთი დიდი მიზანი, როგორიც ხალხში განათლების გავრცელება არის. ვიმეორებ, რომ სკოლის გარეშე ერთობ ბევრი ახალგაზდობა რჩება. მე მოვიყვანე მაგალითი ისეთი მაზრიდან, სადაც ასე თუ ისე შეგნებული აქვთ სწავლის მნიშვნელობა და ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენია ჩვენში ისეთი კუთხე, სადაც ხალხს სალათას ძილით სძინავს, სადაც ათასში ერთი წერა-კითხვის მცოდნე არ გამოერევა. აი მიშველებაც აქ არის საჭირო. კარგი საქმეა თუ ადგომას უშველით იმას, ვინც გაჭირვებით დგება, მაგრამ ათჯერ უფრო დიდი გმირობა არის იმის წამოყენება, ვინც ღრმა ძილს მისცემია და წამოდგომას სრულიად არ ფიქრობს. იმედია „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობაც ასეთი კუთხეებისკენ დაიჭერს ფხიზელ თვალს და მის ნაცვლად, რომ რომელიმე თავის სკოლის გასაფართოვებლად გომარეთის სკოლის დახურვაზე სიტყვა ჩამოაგდოს, გომარეთის სკოლისებურ სასწავლებელს კვლავ გაგვიმართავს რამდენიმეს ისეთ მიყრუებულს კუთხეებში, სადაც გაზაფხულის ნიშნად ჯერ არც ერთს მერცხალს არ უკიკჭიკნია.

შუბნელი

ლია კავკასიის გამოფენაზე **ბეჭდვითი საქმის** განყოფილების წარმომადგენელთა სხდომა. განსახილველია, სხვათა შორის, საქმე კავკასიის პრესსის წარმომადგენელთა კრების შესახებ.

◆ სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება **კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა**, რომელთაც განსახილველად ექმნებათ შემდეგი საგნები: 1) საადმინისტრაციო კითხვები, 2) საზოგადოების ხაზინადრისა, მდივნისა და ბიბლიოთეკარის წარსულის წლის ანგარიშები, 3) არჩევანი საზოგადოების მოხელე პირთა მომავალ წლისათვის და 4) დასასრულ საზოგადოების მდივანი ბ-ნი გრუზენბერგი წაიკითხავს რეფერატს ერთად-ერთ იურიდიულ საკითხის შესახებ.

◆ ტფილისის **ნოქართა საზოგადოებაში**, რომელიც ხვალ უნდა გაიხსნეს, ჩაწერილა 150 წევრი.

◆ **ერევნისა და ალექსანდრაპოლის რკინის გზის** კეთება თავდება. გაუკეთებელია ამ ჟამად მხოლოდ 24 ვერსტი (სულ მთელი გზა 145 ვერსტია). ალექსანდრაპოლიდან კარხუნამდე ამ ჟამად კვირაში სამჯერ დადიან მატარებლები რკინის გზის მოხელეთათვის, რომლებითაც მგზავრებიც დაჰყავთ მომატებულის ფასით. მატარებლების დროებითი მოძრაობა დაიწყება იანვარში, მუდმივი და წესიერი-კი —ივლისში, როდესაც ეს შტო ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობას გადაეცემა.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. **ფრეზე** გუშინ, 16 ნოემბერს, პეტერბურგში წავიდა.

◆ გუშინ პეტერბურგს წავიდა ამიერ-კავკასიის საზეითალო ნაწილის მმართველის თანაშემწე **ბ. რეშერი**.

◆ ტფილისის ქალაქის მმართველობამ შეიმუშავა მომავალ წლის **შემოსავლის საგარაუდო ანგარიში**. პროექტით უნდა შემოვიდეს სულ 1.391,737 მან.; აქედან უმთავრესი შემოსავალი მოსალოდნელია: 1) უძრავ-მამულების გადასახადისა—481,689 მან., 2) სატრაქტირო გადასახადისა—123,994 მან., 3) ცხენებზე, კამეჩებზე და ძაღლებზე დაწესებულ გადასახადისა—38,400 მან., 4) სხვა-და-სხვა ბაჟი—23,502 მან., 5) ქალაქის სხვა-და-სხვა მამულისა და საიჯარო—111,745 მან., 6) ქალაქის სხვა-და სხვა დაწესებულებათაგან—429,275 მ., 7) ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან—30,000 მან., 8) მთავრობისაგან შემწეობა და დასაბრუნებელი ხარჯი—159,890 მან., 9) სხვა-და-სხვა წვრილი შემოსავალი—27,242 მან. და სხვა.

◆ „ნოვ. ობოზრ.“ სიტყვით, კავკასიის სამთო სამმართველოს ბოლო ხანში ბევრისთვის მიუცია **ოქროს მადნის** ძებნის ნება; ოქროს მაძიებელნი უფრო ტფილისისა და დუშეთის მაზრების საძლვარს ეტანებიან, თურმე.

◆ იმავე გაზეთის ცნობით, **საქონლის ჭირი** გაჩენილა ტფილისის მაზრის სოფლებ ხევში, ნორიოში, ვაზიანში და საგარეჯოში და აგრეთვე თიანეთისა და თელავის მაზრების ზოგიერთ ადგილებში.

◆ **გამოფენის** სრული შემოსავალი 16 ნოემბრამდე ყოფილა—173,470 მ. და 27 კაპ., ხარჯი კი—183,771 მან. და 53 კ. ამ ხარჯში ჩარიცხული არ არის უმთავრეს პავილიონზე დახარჯული ფული.

◆ **გამოფენაზე ყოფილა**: 13 ნოემბერს —168 კაცი, 14 ს—252 და 15-ს—119. შემოსულა ამათგან—124 მ. და 70 კ.

◆ **გამოფენას კერძო პავილიონების პატრონებმა**—ამირაღოვებმა, ცატოხცევმა, მადერმა, ვეტცელმა და აფეცრების ეკონომიურმა საზოგადოებამ—უკვე დახურეს თავიანთი პავილიონები. გარდა ეკონომიურ საზოგადოებისა, ყველა ესენი თანახმანი არიან დასტოვონ თავიანთი პავილიონები, თუ გამოფენა ისევ გაიხსნება მომავალ მაისში

◆ როგორც თავის დროზე უკვე გვქონდა აღნიშნული, ადესის მცხოვრებმა საბუნების მეტყველო მეცნიერების კანდიდატმა ი. გ. პადობამ განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ შემწეობას აღმოუჩენდა ქალაქს, თუ გამგეობა მოისურვებდა ტფილისში **ელექტრო-ტეხნიკურ სასწავლებლის** დაარსებას. ბ-ნი პადობა ამასთანავე გზის ხარჯად სთხოვდა ქალაქს 150 მან., რათა ჩამოსვლა შესძლებოდა და პირადად მოლაპარაკებოდა გამგეობას. ქალაქის გამგეობამ ეს განცხადება გადასცა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც კიდეც განიხილა იგი გუშინ-წინდელ სხდომაზე და გარდასწყვიტა ნაადრევად ჩაითვალოს საელექტრო-ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსება ტფილისში.

◆ 5 ნოემბრის **საბჭოს გარდაწყვეტილებანი**: სიონის საკათედრო ტაძრისათვის 500 მან. ყოველ-წლიურ შემწეობის აღმოჩენისა, ქალაქში ნაგვის საზიდ ურმების შემოსაღებად საჭირო ხარჯის დადების უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობის აღძვრის შესახებ და სხვა გუშინ ქალაქის მოურავმა წარუდგინა განსახილველ-დასამტკიცებლად საგუბერნიო მთავრობას.

◆ 15 ნოემბრის საღამოს სხდომაზე ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ, სხვათა შორის, განიხილა 1899 წლის ქალაქის სკოლების სარევიზიო კომისიის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ მეტად უხერხულს მდგომარეობაში არიან თურმე ავლაბრის 1-ლ. მე-2 და მე-3 **ქალების პირველ დაწყებით სკოლების შენობები**; მაგალ. ზოგს მათგანს ვიწრო ეზო აქვთ და მოსწავლეთათვის სრულიად გასავალი თავისუფალი ადგილი არ აქვს; ზოგს შენობებს ქვეშ ბევრი მდგმურები არიან, რომელთა ხმაურობა აფერხებს სწავლის საქმეს და სხ. კომისიის ყველა შენიშვნებზე სასწავლებელთა კომისიამ თავის განმარტებათა ოქმი შეადგინა, საიდანაც სჩანს, რომ ზოგი ზემოდ აღნიშნული ნაკლულევანებანი ავლაბრისა და აგრეთვე სხვა სკოლებისაც უკვე შესწორებულ იქმნა მისგან და ზოგსაც ცდილობს კომისია, რაც შეიძლება, მალე შეასწოროს. უმთავრესად კომისიამ ყურადღება მიაქცია ავლაბრის სკოლებისათვის შენობის საქმეს და დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას დააჩქაროს ქალაქის საბჭოში ა. ს. ბაბოვის მიერ შემუშავებული პროექტის წარდგენა, რომლითაც განზრახულია ავლაბარში ორ-სართულიან შენობის აგება, სადაც მოთავსებული იქნება ქალაქის რამდენიმე პირველ დაწყებითი სკოლა.

◆ **საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების** მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ დაასრულა ხსენებულ საზოგადოების წესდების გადასინჯვა და, სხვათა შორის, სასურველად დაინახა—აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ საზოგადოებას მიეცეს უფლება მიიღოს დასაზღვევად მოძრავი ქონებაც და შევსებულ იქნეს წესდება ახალის მუხლით, რომლის ძალით საზოგადოების არა წევრს უფლება არ ექმნება ვექილობის საშუალებით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმეებში. საგანგებო კომისია წარუდგენს თავის მოხსენებას საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივ კრებას, რომელიც დეკემბერში უნდა მოხდეს.

◆ ქალაქის გამგეობამ გუშინ განიხილა **ქალაქის ლომბარდის** მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მოსალოდნელი შემოსავალი უნდა იქმნეს 37,650 მ. 32 კ. და გასავალი—27,877 მ. 62 კ. გამგეობამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ერთის მუხლის გამოკლებით: ეს მუხლი შეეხება კასირის თანამდებობას, რისთვისაც გადადებული უნდა ყოფილიყო 600 მ.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა ოზურგეთის **თამბაქოს საცდელ პლანტაციას** განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოსმალურ თამბაქოს კულტურას და გაავრცელოს ამ თამბაქოს თესლი მცხოვრებთა შორის.

◆ ნავთის მწარმოებელთა საბჭო დასთანხმდა დაუტოვოს **საბადლოსნო სკოლას** თუჯის ის მილები, რომლის საშუალებით გამოფენაზე წყალი ამოჰქონდათ ჰიდან.

◆ ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა სასანიტარო-საექიმო ინსპექტორს წარმოადგინოს თავისი აზრი **მექანიურ ფურნის** „განთიადის“ წინადადების შესახებ. როგორც ვიცით, ეს მექანიური ფურნე წინადადებას აძლევს ქალაქს გააშენოს დუქნები და იაჭროს ამ ფურნეში გამომცხვარ პურით, რომელიც ქალაქს დაკლებულის ფასით დაეთმობა.

◆ ყარსის რკინის გზის მე-99 ვერსზე გამართულ ნახევარ სადგურს ამა წლის 15 ნოემბრიდან სახელად ეწოდა **„ბლაგვერდისა“**, რაც კიდეც გამოცხადდა რკინის გზის მოხელეთა საყურადღებოდ.

◆ გუშინ წინ **მიხეილის საავადმყოფოში** მიიყვანეს გრძნობა დაკარგული ერთი მეპურე. ექიმებმა ბევრი ეცადეს, მაგრამ გრძნობაზე ვერ მოიყვანეს და იგი გრძნობაში მოუსვლელელი მოკვდა. ექიმებმა გასინჯეს ცხედარი და თავზე ჰრილობა აღმოუჩინეს. რასაკვირველია, მაშინვე გამოძიებას შეუდგნენ, მაგრამ ვერა გაიგეს რა: იციან მხოლოდ, რომ იმ დღეს მეპურე თავისს მუშებთან ერთად ქეიფობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა სახლში. საღამოს მასთან მოვიდნენ ძმები და უგრძნობლად იპოვეს. რადგან ახლო ექიმი ვერ იპოვეს, ძმებმა ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, 15 ნოემბერს, ქალაქის საყასპოების პირდაპირ მტკვრის პირად ნახეს ვიღაც უცნობი კაცის დამხრჩვალის გვამი, რომელიც მიხეილის საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი პოლიცია შეუდგა გამოძიებას დამხრჩვალის ვინაობის გამოსარკვევად.

◆ 13 ნოემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში, საღამოს 7 საათზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველს სოფიო ქამაკურიანცის ბინიდან მოუპარავს ხელით საკერავი მაშინა და სხვა ნივთები სულ 89 მან. ღირებულობისა. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ყარსის ოლქის მცხოვრებ ოგანეზ პეტროსიანზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

პრესსა

ამას წინად ჩვენ ერთ-ერთ რუსულ გაზეთიდან მოყვანილი გვქონდა შედარება საფრანგეთისა და შვეციის შუა ხალხის განათლებისა და ჯანმრთელობის მხრით. შედარებიდან ის დასკვნა გამოდიოდა, რომ ხალხის ჯანმრთელობა იმდენად უფრო მაღალია, რამდენად მაღლა სდგას ხალხის სწავლა-განათლების საქმე. ახლა ამავე საგანს ეხება გაზეთი „ვრაჩ“ და მოჰყავს საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შემცირდა ავადმყოფობა და სიკვდილი იმ ქვეყნებში, სადაც ხალხის განვითარება შეძლებას იძლევა ჰიგიენისა და სანიტარიის მოთხოვნათა ასრულებისას. მაგალითად,

> „შეერთებულ შტატებში 1900 წელს, 1890 წელთან შედარებით, ავადმყოფთა და გარდაცვლილთა რიცხვმა 10%-ით იკლო; უწინ ამერიკელი შუათანა აღრიცხვით ცხოვრებდა 31,1 წელიწადს, ეხლა ცხოვრობს 38,2 წელს. ნამეტურ იკლო ჭლექით ავადმყოფობამ და ჭლექისაგან გარდაცვალებამ: 1890 წელს 10000 კაცზე გარდაიცვალა ჭლექისაგან 245 კაცი, 1900 წელს-კი—199. იკლო აგრეთვე დიფტერისაგან, სახადისა და ხუნაგისაგან გარდაცვლილთა რიცხვმა; იმატა მხოლოდ პნევმონიამ. შეერთებულ შტატებში განსაცვიფრებლად კლებულობს გარდაცვალებულთა რიცხვი. 1870 წელს 1000 კაცზე 20 კვდებოდა, 1880 წელს—18, 1890 წელს—17, 1900 წელს-კი—16“.

ასეთი მნიშვნელობა აქვს ხალხის ჯანმრთელობისათვის სწავლა-განათლების გავრცელებას.

⁂

გაზეთ „კიევლიანინ“-ში დასტამბულია საინტერესო წერილი პროფესორის ვისოკოვიჩისა შავი ჭირის შესახებ. შავი ჭირი ან, როგორც წინად ეძახდნენ ჩვენში, ჟამი მუსრს ავლებს მცხოვრებთ აზიაში; წინად ევროპაშიაც საშინელ სენად ითვლებოდა და ხშირი სტუმარი იყო. მაგრამ ჩვენს დროში ეს სენი ევროპას აღარ აშინებს. აქა-იქ თუ გაჩნდება ხანდისხან (ოპორტოში, ნეაპოლში, გლაზგოში), დროზე მიღებულ საშუალებებით მაშინვე სპობენ. რუსეთშიო, სწერს ვისოკოვიჩი,

> «ჟამი უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაჩნდა. 1879 წელს ის გაჩნდა ვეტლიანკაში, 1897 წელს—ანზობში, 1899 წელს—კოლბოვკაში, 1900 წელს—ვლადიმიროვკაში და ყირგიზთა მინდვრებში, ბოლოს წელს ოდესაში. მაგრამ არც-ერთხელ ჟამი არ გავრცელებულა; მხოლოდ ვეტლიანკაში მან იმსხვერპლა 300 კაცი, სხვაგან თითო-ოროლა მოკვდებოდა და სენს მაშინვე მოსპობდნენ. ეს სასიამოვნო გარემოება იმით აიხსენება, რომ მეცნიერებამ გაიგო ჟამის თვისება, გაიგო რა პირობებში ვრცელდება ეს საშინელი სენი და გამოსძებნა საშუალებანი, რომელთა მეოხებით ადვილია მისი შეჩერება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ მცხოვრებნი ნდობით მოეპყრობიან ექიმ-სანიტარებს, დაუყოვნებლივ აღასრულებენ ყველა მათ მოთხოვნას, ჟამი სრულიად საშიში არ იქნება. ინდოეთში და ჩინეთში ჟამი საშინლად მძვინარებს სწორედ იმიტომ, რომ ხალხი არავითარ საშუალებას არ ხმარობს, არავითარ სანიტარულ და ჰიგიენურ ზომებს არ იღებს; როგორც-კი გაჩნდება სადმე ჟამი, ხალხი ჰკარგავს ყოველ მოსაზრებას და გიჟივით გარბის სხვაგან; ამით ვერც თითონ გადურჩება სენს და სხვაგანაც უწყობს ხელს მის გავრცელებას... ვიმეორებთ, ეხლა მეცნიერება იმდენად მძლავრია, რომ ჟამს ადვილად შეებრძოლება, თუ-კი მცხოვრებნი თავის მხრითაც დახმარებას აღმოუჩენენ მეცნიერთა და ექიმთ“.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 20 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს ბინაზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით სამრეწველო რაიონში გზების შეკეთების საქმე, 2056 მანეთისა და 80 კ. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს საბჭოს გირაოთ 5% აღნიშნულ ღირებულობისა ან ნაღდად ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

ხარჯთ-აღრიცხვისა, გეგმების და პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ყოველ-დღე. (ნ. 3—1)

ახლად დაარსებულის ამხანაგობის
„ნაროდნოე ზდრავიე“-ს
(აფთიაქი, მინერალურ წყლების ქარხანა და სხვა)

დარჩენილ პაიებზე ხელის-მოწერა დასრულდება ამ წლის 1-ლ დეკემბერს.

ხელის მოწერა მიიღება: საკომერციო სანავთო-მრეწველობის ამხანაგობის გამგეობაში—ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში, ეზოში,—აგრეთვე პროვიზორის სააკოვის საფთიაქო საწყობში, ვარანცოვის ძეგლთან. ვისაც ჰსურს, შეუძლია მიიღოს ამხანაგობის პირობის პროექტი ხსენებულ ადგილებში (3—1)

იყიდება სრულიად გაწყობილი **ორთქლის ქვაბი, ორთქლის მანქანა** და **დინამო-მაშინა.** პირობების შეტყობა შეიძლება სათავად-აზნაურო მამულების სამმართველოს კონტორაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის სახლში, დილის 11 საათიდან 3 საათამდე. (6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Ноября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.